შექმენი შენი სტილი




გამოიყენე ჩვენი ბრენდების პროდუქცია

hansgrohe AXOR DURAVIT GROHE Roca GEBERIT BRAVAT

SANIT BEMETA COLOMBO créo CERAMIQUE QUICK STEP BOEN POLSKA KRONOTEX KRONOPOL

MAPEI FLORIM EMIL CERAMICA Keraben FABRESA VIDREPUR

# გალერეა დემასი

მის.: თბილისი. მშრალ ხიდთან

www.gallerydemasi.ge

## მოწინავე ბრენდები იატაკის მოწყობის სფეროში

როდესაც საქმე ეხება თქვენი საცხოვრებელი ფართის ესთეტიკისა და ატმოსფეროს გაუმჯობესებას, იატაკის მოწყობის ტიპს, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ხელმისაწვდომ ვარიანტებს შორის, პარკეტი და ლამინატი გამოირჩევა კლასიკური ხიბლითა და დახვეწილი მიმზიდველობით.







გალერეა დემასი

მრავალრიცხოვან მოდელებს შორის კი, ყურადღებას უდავოდ იმსახურებს BOEN-ის მრავალშრიანი პარკეტი და Quick-Step-ის ლამინატი, რომელთა შესახებაც ამ ბლოგში მოგიყვებით და გავიგებთ, თუ რატომ წარმოადგენს ეს ორი ბრენდი საუკეთესო არჩევანს თქვენი სახლის იერის გარდაქმნისათვის.



## BOEN პარკეტი - უსაფრთხოება და ელეგანტურობა




დღევანდელ BOEN-მდე მივყავართ 1641 წელს სამხრეთ ნორვეგიაში არსებულ ხე-ტყის სახერხ ორ პატარა ქარხანას. სწორედ ეს მრავალწლიანი ოსტატობა და გამოცდილება ხდის მათ პარკეტს სანდოსა და უნიკალურს. ამას მოწმობს გაყიდვების მაჩვენებელიც, რომელიც მოიცავს ოთხ კონტინენტს, 50-ზე მეტ ქვეყანას და ათასობით დამშვენებულ სახლს.



ხის იატაკის ერთ-ერთი უდიდესი ევროპული მწარმოებელი, BOEN გამოირჩევა საქმისადმი ინოვაციური და კრეატიული მიდგომებით, ხოლო, რაც შეეხება ბრენდის პრინციპებს, მას აქვს პასუხისმგებლობა, არ მიაყენოს ეკოლოგიური ზიანი ბუნებას - მასალა მზადდება თანამედროვე მეთოდებით და არ შეიცავს მავნე ნივთიერებებს. სწორედ ამიტომ, წარმოებული პარკეტი არა მხოლოდ ლამაზია, არამედ სრულიად უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის.



ჩვენთან წარმოდგენილი BOEN-ის სამშრიანი პარკეტი შედგება ერთმანეთზე დაწებებული ფენებისგან, ამიტომაც, ის გამოირჩევა მეტი სტაბილურობით და მდგრადობით, ვიდრე ტრადიციული ხის იატაკი  და უზრუნველყოფს მაქსიმალურ გამძლეობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

## Quick-Step ლამინატი - თანამედროვე კონკურენტი





1990 წლებში, ფლანდრიის ტერიტორიაზე რამდენიმე ოჯახი გაერთიანდა და წამოიწყო ხის ბიზნესი, რომელიც, თავდაპირველად, დეკორატიული მიზნებისათვის იყო განკუთვნილი. თუმცა ხე მალევე იქცა იატაკად და სწორედ ასე დაიწყო Quick-Step-ის ისტორია.

ბრენდის მიზანი იყო ტრადიციული ხის იატაკის ალტერნატივის შექმნა, რომელიც იქნებოდა უფრო იაფი და მარტივად მოსავლელი. შედეგად მიიღეს ლამინატი, რომელიც დღემდე გამოირჩევა უნიკალური დიზაინით და ამშვენებს მრავალფეროვანი ინტერიერის მქონე საძინებლებს, სველ წერტილებს, სამზარეულოებსა და სხვა სივრცეებს.






Quick-Step ერთგულია თავისი პრინციპების, ამიტომ, ლამინატის წარმოებისათვის იყენებს გადამუშავებულ მასალას. ზემოჩამოთვლილ უპირატესობებთან ერთად კი, იატაკი ხასიათდება წყალგაუმტარობით, რაც შესანიშნავი არჩევანია ნებისმიერი ტიპის ოთახისთვის. ლამინატის მრავალფეროვანი არჩევანი ნამდვილად შეიტანს მეტ სიმშვიდესა და კომფორტს თქვენს სახლში.



საბოლოო ჯამში, არჩევანი BOEN პარკეტსა და Quick-Step ლამინატს შორის დამოკიდებულია თქვენს გემოვნებაზე, ინტერიერის მოთხოვნებსა და იმ ხანგრძლივობაზე, რომელიც გსურთ, რომ ჰქონდეს თქვენს იატაკს. განურჩევლად იმისა, ეძებთ პარკეტსა თუ ლამინატს, "გალერეა დემასი" მზად არის შემოგთავაზოთ მოწინავე ბრენდების პროდუქცია, რომელიც სცილდება ტენდენციებს და საუბრობს კომფორტული ცხოვრების არსზე.

# რედაქციისგან

2023 წლის მიწურულს კვლავ გვეძლევა შესაძლებლობა თვალი გადავავლოთ ჩვენს, გასული წლის, ნამოღვაწარს და შევაჯამოთ იგი. 2000 წლიდან დღემდე გამოცემული ჟურნალი „სტილის“ ნომრებში ტრადიციულად წარმოვაჩენდით სიახლეებს მშენებლობის, არქიტექტურისა და ხელოვნების სფეროებში, შედეგად, მრავალი ახალი შემოქმედებითი სახე, საინტერესო ნამუშევარი თუ პროექტი გამოვლინდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არქიტექტურის საერთაშორისო კონკურსების - „არქიტექტურული პრემიის“ ჩატარებამ.

2023 წლის 11 ოქტომბერს ტრადიციულად კვლავ ჩავატარეთ საერთაშორისო მე-11 არქიტექტურული ფესტივალი და მე-17 საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსის - „არქიტექტურული პრემია 2023“-ს დაჯილდოების ცერემონია. დიდი მადლობა კონკურსის მონაწილე ყველა პროფესიონალს, ჟიურის წევრებს.

ჟურნალი „სტილის“ და „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ სახელით, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით, ჩვენს ერთგულ პარტნიორს, საერთაშორისო ფესტივალის და „არქიტექტურული პრემია 2023“-ის გენერალურ სპონსორს - კომპანია „კაპაროლს“!

მადლობა სპონსორ კომპანიებს, მხარდამჭერ კომპანიებს, საინფორმაციო მხარდამჭერებს - ყველას, ვინც ხელი შეუწყო კონკურსის წარმატებით მიმდინარეობის პროცესს და დაჯილდოების ცერემონიის გაშუქებას.

პროექტი გრძელდება! ვაცხადებთ საერთაშორისო კონკურსს - „არქიტექტურული პრემია 2024“!

ჟურნალი „სტილის“ 83-ე ნომერი „არქიტექტურული პრემია 2023“-ის ნომინანტების ნამუშევრების ერთგვარ კატალოგს წარმოადგენს. კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით ყველას, ჩვენთან საინტერესო თანამშრომლობისთვის!

„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ და ჟურნალი „სტილის“ სახელით გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში!

# EDITORIAL

2023 year again gives us the opportunity to take a look at our work from last year and summarize it. In the issues of the Style magazine published since 2000, we have traditionally presented innovations in the fields of construction, architecture and art, as a result, many new creative faces, interesting works or projects have been revealed. An important role in this process was played by the holding of international architectural competitions - „Architectural Award“.

This year we again held the 10th International Architectural Festival and the 17th Anniversary International Architectural Competition - „Architectural Award 2023“.

Many thanks to all the professionals, members of the jury participating in the competition.

On behalf of the Style magazine and the Georgian Association of Architects, we are especially grateful to our loyal partner, the general sponsor of the International Festival and Architectural Award 2023 - Caparol company!

We are especially grateful to the Sponsoring Companies, news sponsors - everyone who contributed to the competition process and coverage of the awards ceremony.

The project continues! We announce the international competition - „Architectural Award 2024“!

The 83th issue of the Style magazine is a kind of catalog of the works of the nominees for the „Architectural Award 2023“.

Thank you all again for your interesting cooperation with us!

On behalf of the Georgian Association of Architects and the Style magazine, wish you happiness, health and success in your creative works!

www.archias.ge


გამომცემელი — საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია და დიმიტრი მოსულიშვილი

მთავარი რედაქტორი — ნინო ლაღიძე

ინფორმაცია — ნინო ლაღიძე, დიმიტრი გელოვანი

კომპიუტერული დიზაინი - ირმა ჯიშკარიანი

**PUBLISHER - ASSOCIATION OF ARCHITECTS OF GEORGIA** and Dimitri Mosulishvili

**CHIEF EDITOR** - Nino Laghidze

**INFORMATION** - Nino Laghidze, Dimitri Gelovani

**COMPUTER GRAPHIC** - Irma Jishkariani



0171 თბილისი, ბერბუკის ქ. N3
მობ: +995 593 42 74 73

3 Berbuki str., 0171, Tbilisi, Georgia
Mob: +995 593 42 74 73

http://www.archias.ge
http:// www.archiaward.com
E-mail: style.magazine2022@gmail.com



სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს


## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

არქიტექტორთა კლუბი და ჟურნალი „სტილი“ კვლავ აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი „სტილი“ მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაზუსტდეს თანაავტორთა ვინაობა!





აღმოაჩინე
ახალი სასტუმრო
და სამი საუკუნის
ისტორიული მარანი - გარიყულაში
1753 შატო წლიდან
მეფის ქალაქი
გარიყულა
info@mephiskalaki.ge
0371 220 300
შატო მეფის ქალაქი • Chateau Mephis Kalaki
chateau_mephis_kalaki




CAPAROL

**BETONEFFEKT**




CAPAROL

**DISBOXAN 485**

ზედაპირების დაცვისა
და ჰიდროფობიზაციისათვის



ახალი ნათება
NEW LIGHT
24 წელია
წარმატების
24 წლიანი
ისტორია
VIBIA
Made in Spain
032 2 20 24 24
www.newlight.ge



# GROHE Essence — პირველი არჩევანი არქიტექტორებისა და დიზაინერებისთვის

GROHE Essence უამრავი ვარიანტი, გაუთავებელი მოქნილობა: ინდივიდუალიზაციისკენ გლობალური ტენდენციების თანახმად, სააბაზანო ოთახი ხდება უაღრესად მნიშვნელოვან სივრცედ სახლში. არქიტექტორები და დიზაინერები მუდამ არიან იმ საშუალებათა ძიებაში, რათა გამოხატონ კლიენტების ინდივიდუალური სტილი. GROHE Essence წყლის შემრევების არჩევანის ფართო სპექტრი არის წარმოუდგენლად მდიდარი ნაკრები ინსტრუმენტებისა შემოქმედებითი აზროვნების გასაფართოებლად.

არსებითად ახალი! ონკანების, შხაპების, აქსესუარების სრული ასორტიმენტი, რომელიც გვთავაზობს Cool Sunrise, Warm Sunset, Hard Graphite და Nickel-ის მდიდრული ფერების და ულტრათანამედროვე ნაკეთობების ათზე მეტ შესაძლებელ კომბინაციას. ისინი, მსოფლიო უახლესი ტენდენციებით შთაგონებული, დეტალურადაა შემუშავებული, რათა მიესადაგოს ნებისმიერი სტილის სააბაზანო ოთახის ფერით გარემოს. არჩევანის ახალი თავისუფლება წარმოუდგენელი თანმიმდევრობით მოდის დიზაინში, ამასთან თითოეული დგუში, საშხაპე, წყლის გამანაწილებელი წარმოდგენილია ზომებში S-დან XL-მდე.

ნაკეთობის გეომეტრიული სტრუქტურა დაფუძნებულია კონცენტრირებულ ცილინდრენზე. ხაზის გასაფართოებლად, იგი მცირედით შერბილდა და გადაკეთებული ბერკეტის სახე მიიღო. „ჩვენ ჩავრთეთ მცირეოდენი ცვლილება სახელურზე, რითაც მივეცით მომხმარებელს სიზუსტის და კონტროლის შეგრძნების გამოცდილება, რაც მათ აქამდე არ შეუგრძვნიათ“ — თქვა Michael Seum, GROHE -ს ვიცე-პრეზიდენტმა დიზაინის მიმართულებით.

GROHE
Pure Freude an Wasser



GROHE Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49.(0)211/9130-3000
www.grohe.com

Media contact: HERING SCHUPPENER
Unternehmensberatung für Kommunikation
GmbH Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49.(0)211.430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener.com

## GROHE Smart Control — პერსონალიზირებული შხაპის ინტუიციური კონტროლი



საშხაპის ახალი განზომილებებით დატვირთვა — აი ეს არის GROHE Smart Control-ის მთავარი საზრუნავი. აპრილის მონაცემებით „Push, Turn, Shower“-ს გამოცდილება კიდევ უფრო მრავალმხრივი გახდება ახალი მოდელების და მათი კომბინირებული ვარიანტების წყალობით. ამასთან, სტილური მოდელის — on-the-wall — გაფართოებულ ხაზს დაემატა კედლის მიღმა დამალული საშხაპე დანადგარები. ამას გარდა წყლის ჭავლის გამომშვები და SmartControl-ის დამალული ბლოკები მიღწევადი იქნება მოდური თეთრი ფერის ქვეშ.

GROHE SmartControl შეფუთულია გერმანული ტექნოლოგიით, დამზადებულია გერმანული წარმოების ყველაზე მაღალი სტანდარტით და ექსპლოატაციაში გადის Made in Germany-ის ეტიკეტით. მას საფუძვლად უდევს push-and-turn-ის კომბინირებული ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს თითის წვერით მართოს წყლის რეგულაციები. წყლის ჭავლის ინტუიტიური მართვა მარტივდება ერთმნიშვნელოვანი პიქტოგრამებით. როდესაც წყალი გამორთულია, პროგრამა ავტომატურად იმახსოვრებს არჩეულ გახარჯვას, იმ დრომდე, სანამ წყალი თავიდან ჩაირთვება.

## ყველაზე მდიდრული შხაპი მსოფლიოში



GROHE-ს კოლექციას AquaSymphony, რომელიც ახლახანს აღიჭურვა უახლესი ტექნოლოგიით, შემოაქვს პროფესიული ხარისხის შხაპის და სპას გამოცდილება თანამედროვე აბაზანაში. AquaSymphony მოქნილებას მატებს სახლის სპა-ცენტრის მართვას და კიდევ უფრო ზრდის მისგან მიღებულ სიამოვნებას. AquaSymphony -ს მოდულების დანიშნულებაა შხაპის გამდიდრება ახალი შეგრძნებებით და ინდივიდუალიზებული სპაცენტრის გარემოს შექმნა. AquaSymphony -ს სხვადასხვა ფუნქციები, მ.შ. ერთა თერაპია, დამამშვიდებელი ორთქლი, მომხმარებლის საყვარელი მუსიკის შესრულება, სტანდარტულ შხაპს პოზიტივის ოაზისად აქცევს. შთამბეჭდავი ზომებით 1016მმ X762მმ, იგი ქმნის და წყალის ჭავლების ურთიერთქმედებას, რომელიც განიჭებთ სიამოვნებას და იწვევს რელაქსაციას.

მაღალგანვითარებული ხმის სისტემა არის კიდევ ერთი ინტელექტუალური დამატებითი ფუნქცია რომელიც ქმნის პირადად თქვენ საყვარელი მუსიკისა და წყლის ჭავლის ხმების მიქსს. F-digital Deluxe –ს საბაზო ბლოკი შესაძლებელია შეუერთდეს Apple ან Android მობილურ მოწყობილობას, რომელიც საშუალებას გაძლევთ გამოიყენოთ Grohe SPA App-ს სრულყოფილი ტექნოლოგიები სინათლის, ხმის, ფერის და ორთქლის მანევრირების კონტროლისთვის. ეს საოცარი ტექნოლოგიური თვისებები დაგეხმარებათ დატკბეთ თქვენი საშხაპის ახალი განზომილებებით.

სხვადასხვა განწყობაზე / სიტუაციაზე მორგებული სამომხმარებლო მენიუებით გამორჩეული დიზაინით კოლექცია GROHE AquaSymphony არა მხოლოდ მოწინავე ტექნოლოგიით გამოირჩევა, მან ასევე მოიპოვა გერმანიის დიზაინის კომიტეტის ცნობილი ჯილდო „ Interior Innovation award 2017 – Best of the Best“. მის მომხმარებლებს შეუძლიათ კიდევ უფრო თამამად ისიამოვნონ საშინაო სპა-ცენტრის ყველა უპირატესობით.

GROHE Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49.(0)211/9130-3000
www.grohe.com

Media contact: HERING SCHUPPENER Unternehmensberatung
für Kommunikation GmbH wBerliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49.(0)211.430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener.com

Pure Freude an Wasser
GROHE

## მინიმალისტური დიზაინი, მდიდრული გაბარიტები

- ახალი თაობის GROHE Rainshower 310 2-Jet Head -ის საშხაპეები თანამედროვე სააბაზანოებისთვის
- იდეალური კომბინაცია GROHE SmartControl- თან ერთად
- Cosmopolitan Premium -ის დიზაინის სხვადასხვა ვარიანტები

მაშინ როდესაც ზოგიერთი სახეობის საშხაპე კანს ასველებს, როგორც ზაფხულის წვიმა, არსებობს საშხაპე, რომელიც ქმნის გამამხნევებელი მასაჟის ეფექტს. GROHE Rainshower 310 2-Jet-ის ახალი საშხაპე კაბინები აერთიანებს „ორივე სამყაროს“ საუკეთესო თვისებებს. უფრო მეტიც, გამორჩეულად დიდი ზომის საშხაპე თავისა საშხაპე კაბინის მინიმალიზმთან წარმოქმნის განსაკუთრებულ დიზაინს წყლის მნიშვნელოვანი – მძლავრი ჭავლით. ეს საშხაპეები აბსოლუტურად ჰარმონიზაციას მოახდენს ნებისმიერ თანამედროვე აბაზანის დიზაინთან. ძვირადღირებული ახალი საშხაპეები გერმანიაში, ლარში, GROHE-ს ქარხანაშია წარმოებული.









### ორმაგი სიამოვნება

Rainshower 310 2-Jet-შია წარმოებული სპეციალური ზედაპირები, შხაპისგან სამოვნების მიღების გასაორმაგებლად. ოვალური წამოწეული ღიობები წყლის ნაკადისთვის მოთავსებულია ვარსკვლავის ფორმის სპრეის ცენტრში და ქმნის ენერგიულ მასაჟს. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს წყლის კონცენტრირებული ნაკადებიდან სასურველი - დაძაბული კუნთების მოდუნებისთვის ან თმიდან შამპუნის მოშორებისთვის, ხოლო „წვიმის ნაკადი“ რბილად დაედინება სხეულზე. საშხაპე შეიძლება იყოს ენერგიული და გამამხნევებელი ან დამამშვიდებელი და მოსადუნებელი - ან მას შეუძლია დააკავშიროს ორივე რეჟიმი. შხაპის ერთი ფუნქციიდან მეორეში გადასვლის გასამარტივებლად, ან მათი გაერთიანებისთვის GROHE გვთავაზობს ახალ SmartControl-ის შენიღბულ დანადგარებს, რომელიც მოიცავს ინტუიციურად გასაგებ push-and-turn - ის ტექნოლოგიას. SmartControl-ის კონცეფცია 2-ჭავლიანი საშხაპეების და ერთი ხელის საშხაპის ერთად ფუნქციონირების საშუალებას იძლევა. საშხაპის გასუფთავებაც ასეთივე მარტივია SpeedClean-ის კონსტრუქციის მეშვეობით.







### მეთვალყურე სააბაზანოში

GROHE Rainshower 310 2-Jet-ის მრგვალი და კვადრატული ფორმის საშხაპეების ზომა სააბაზანო ოთახში განსაზღვრავს დიზაინს და, მიუხედავად იმისა, რომ მათი დიამეტრი - 310მმ-ია, ან პერიმეტრი მნიშვნელოვანია სიდიდით საშხაპის კვადრატულ ვარიანტში, მათგან წყლის მძლავრი ჭავლი არასოდეს გაბეზრებთ თავს. რაც მათი დაბალპროფილური კონფიგურაციის და ცალსახად გამარტივებული სილუეტის დამსახურებაა. საშხაპის დახვეწილი სახელური შესაბამისობაში მოდის მის მრგვალ ან კვადრატულ როზეტთან. SmartControl-ის ახალი შენიღბული დანადგარები, რომელთა სიღრმე მხოლოდ 43 მმ-ია, საშხაპეში მინიმალურ ჩანაცვლებას უზრუნველყოფს, ტოვებს რა გადაადგილების მაქსიმალურ შესაძლებლობას. შხაპის წყლის ჭავლები და SmartControl-ის მოწყობილობები ძირითადად ქრომისა და და თეთრი ფერისაა. რაც სააბაზანო ოთახის მთლიან დეკორთან სრულყოფილი ჰარმონიის საშუალებას იძლევა. GROHE-ს, ბრენდის სააბაზანო პროდუქციის ფართო სპექტრი, რომელიც ყოველთვის მოქნილ დიზაინს ქმნის, ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი და თანამედროვე ნაირსახეობით.

GROHE Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49.(0)211/9130-3000
www.grohe.com

Media contact: HERING SCHUPPENER Unternehmensberatung für Kommunikation GmbH Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49.(0)211.430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener.com

## საშხაპეების ექსპრესია: ახალი, მიმზიდველი საშხაპე დიდი დიამეტრით

- ახალი საშხაპეები დიდი დიამეტრით დაწყებითი და საშუალო ფასების სეგმენტებისთვის
- SmartControl-ის ფუნქცია Euphoria-ის საშხაპეს მოსახერხებელი კონტროლისთვის
- ქრომირებული ზედაპირის გლუვი და თანამედროვე დიზაინი

რაც უფრო დიდი ზომისაა საშხაპეს თავი, მით უკეთესია. იმისათვის, რომ ფუფუნების ეს საგანი ხელმისაწვდომი გახდეს ფართო მასებისთვის, GROHE წარმოგვიდგენს ახალ მსხვილდიამეტრიან საშხაპეებს დაწყებითი და საშუალო ფასების სეგმენტებისთვის. Tempesta-სა და Euphoria-ს საშხაპეს ახალი თავის პარამეტრები, არა მარტო გაიზარდა, არამედ გამოირჩევა სტილური თანამედროვე დიზაინით და მთლიანად ქრომირებული წყლის საფრქვევით. ახალი პროდუქცია დამზადებულია სტანდარტების უმაღლესი ხარისხით გამორჩეულ, GROHE-ს ქარხანაში, ლარჰში, ეს საშხაპეები ცხადჰყოფს რა გერმანიის საინჟინრო და გერმანულ ხარისხს – მზადდება ეტიკეტით – „დამზადებულია გერმანიაში“.

უნიკალური შეთავაზება დაწყებითი დონის სეგმენტისთვის

Tempesta 210-ის ახალი საშხაპეს თავის თანამედროვე დიზაინი, სააბაზანო ოთახისთვის, წარმოდგენილია ფართო სპექტრით. იგი, 210 მმ.-იანი დიამეტრით ქმნის უხვი წყლის ნაკადს შხაპის ქვეშ სასიამოვნო და ჰიგიენური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საშხაპეს თავი აღჭურვილია GROHE DreamSpray-ის ტექნოლოგიით, რაც უზრუნველყოფს წყლის ნაკადის ვარდნის სიზუსტეს და თანაბარ გადანაწილებას.











### კეთილდღეობის სამი ზონა

ეს კონცეფცია გაცილებით მნიშვნელოვანი გახდა Euphoria 260- ის სამზონიანი დიზაინით საშხაპეს პერსონალიზირებული კომფორტულობისთვის. უბრალოდ, SmartControl-ის ცენტრალური ღილაკის გადართვისას მომხმარებელს შეუძლია შეცვალოს წყლის ძლიერი ნაკადი - კონცენტრირებულით, რომელიც იდეალურია შამპუნის გასახსნელად, ასევე, მაგალითად, წყლის მძლავრი ნაკადი ენერგიული მგრძნობიარე ეფექტისთვის, შესაძლებელია შეიცვალოს მსუბუქი წვიმის ეფექტით, რომელიც მთელ სხეულს დაფარავს.

### მარტივი განახლება

ორი ახალი საშხაპეს თავი აღჭურვილია ბურთულოვანი შეერთებით, რაც უზრუნველყოფს მათ ერთობლიობას სტანდარტულ საშხაპეს თავთან. ეს საშუალებას იძლევა განახლდეს არსებული საშხაპეები ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. Tempesta 210-სა და Euphoria 260-ის პროდუქცია ხელმისაწვდომია როგორც თავისთავად, ასევე საშხაპე მკლავთან კომპლექტში. GROHE გეგმავს ახალი საშხაპეს თავი ჩართოს თავის სხვადსხვა საშხაპე სისტემებში და გვპირდება კიდევ უფრო დიდ შთამბეჭდავ შედეგს მომავალში.

GROHE Feldmühleplatz 15, 40545 Düsseldorf
Phone: +49.(0)211/9130-3000
www.grohe.com

Media contact: HERING SCHUPPENER Unternehmensberatung für Kommunikation GmbH
Berliner Allee 44, 40212 Düsseldorf, Germany
Phone: +49.(0)211.430 79-266/-289
E-Mail: grohe@heringschuppener.com



CAPAROL
ThermoSan NQG
THERMOSAN NQG
ფასადის
საღებავი
CAPAROL




RD
Home & Living
ROOM DESIGN
აბაზანის
დეკორატიული
შპალერი
პეკინის გამზ. # 39
0322 2 05 39 39
www.roomdesign.ge




# შექმენით ელეგანტური და საუცხოო ინტერიერი „გალერეა რუმ დიზაინი“-ს პრემიუმ კლასის მასალებით

მულტიბრენდული და კონცეპტუალური შოურუმი „გალერეა რუმ დიზაინი” მომხმარებელს მხოლოდ ევროპული წარმოების, უმაღლესი ხარისხის ინტერიერის მოსაწყობ და მოსაპირკეთებელ მასალებს სთავაზობს.

შოურუმში იტალიური, ჰოლანდიური, გერმანული, ფრანგული, ბელგიური და ესპანური ბრენდების უმაღლესი ხარისხის შპალერის, საფარდე ქსოვილების, კერამიკული ფილების, ავეჯის, განათების და აქსესუარების ნაირსახეობაა წარმოდგენილი.

„გალერეა რუმ დიზაინ“-ში 50 000 სახეობის შპალერის ფართო არჩევანია, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ეკო მარკირების და A+ კატეგორიის სერტიფიკატები. ვინილის და ფლიზელინის ბაზაზე დამზადებული შპალერის ფაქტურების მრავალფეროვნება გააოცებს ნებისმიერ მომხმარებელს. შოურუმში ხელმისაწვდომია იდეალური ხარისხის წყალგამძლე - სპეციალურად სველი წერტილებისთვის, თავისუფლად რეცხვადი, ტექსტილის, გობელენის, აბრეშუმის, აკუსტიკური, ხელნაკეთი, მეტალიზირებული, ჭილობის ფაქტურის მქონე შპალერი და დეკორატიული პანოები.

ინტერიერის მოსაწყობი მასალების ნაირსახოებას „გალერეა რუმ დიზაინ“-ში წარმოდგენილი ნებისმიერი ფაქტურის, მდიდრული ტექსტურის, საოცარი ხარისხის საფარდე ქსოვილები და ავეჯის ტექსტილიც ადასტურებს. ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადებული ქსოვილი, როგორიცაა ტილო, ბატისტა, ჟაკარდი, აბრეშუმი, გობელენი, ხავერდი, კოტონი და სხვა მრავალი, მარტივად რეცხვადია და გამძლეა ულტრაიისფერი სხივების მიმართ.

შოურუმში სასიამოვნო ატმოსფეროსთან ერთად, „გალერეა რუმ დიზაინი“-ს კვალიფიციური კონსულტანტ-დიზაინერი დაგეხმარებათ თქვენი ინტერიერისთვის შესაფერისი საფარდე ქსოვილის შერჩევაში და თქვენთვის უფრო მეტი კომფორტის შესაქმნელად, გეწვევათ ადგილზე, შეასრულებს აზომვით სამუშაოებს, განახორციელებს ფარდების შეკერვის, ადგილზე მიტანისა და მონტაჟის მომსახურებას.

პრემიუმ ხარისხის პროდუქციის შეძენა, შესაძლებელია, როგორც „გალერეა რუმ დიზაინი“-ს შოურუმში, ასევე მომწოდებლების კატალოგებიდან შეკვეთით, რომლის იმპორტს კომპანია უმოკლეს ვადაში ახორციელებს. სწრაფი გზავნილის შემთხვევაში, შეკვეთილი პროდუქციის მიღება შესაძლებელია 3-დან 5 დღის განმავლობაში, ხოლო რეგულარული გზავნილისთვის 2-დან 3 კვირამდე დაგჭირდებათ.

„გალერეა რუმ დიზაინი“-ს შოურუმში წარმოდგენილი ნიმუშების და კატალოგების მიხედვით, შესაძლებელია, იტალიური და ესპანური წარმოების, ნებისმიერი ფორმის, ზომის, ფერისა და ფაქტურის კერამიკული და კერამგრანიტის ფილების შეკვეთა, რომლის ჩამოტანას კომპანია  მაქსიმუმ 4-დან 6 კვირამდე უზრუნველყოფს.

ავეჯის და განათების სწორად შერჩევა უმნიშვნელოვანესი დეტალია ინტერიერის მოწყობისას. „გალერეა რუმ დიზაინი” ამ კუთხითაც ანებივრებს თავის მომხმარებლებს და გთავაზობთ მხოლოდ პრემიუმ კლასის, ორიგინაული დიზაინის ავეჯისა და სანათების შეკვეთის მომსახურებას პირდაპირ იტალიის, ნიდერლანდების სამეფოს, საფრანგეთის და ესპანელი მწარმოებლების კატალოგებიდან. თითოეული მოდელი არის ფაქიზად დამუშავებული და შექმნილია ნებისმიერი გემოვნებისთვის.

„გალერეა რუმ დიზაინი”, რომელიც პეკინის გამზ. #39-ში მდებარეობს, წამყვანი ევროპული კომპანიებისგან არჩევს თქვენთვის მხოლოდ საუკეთესო ინტერიერის მოსაწყობი და მოსაპირკეთებელი მასალების პროდუქციას, რომლის შექმნაზეც მსოფლიოში ცნობილი დიზაინერები იღებენ ორიგინალურ გადაწყვეტილებებს და ქმნიან ექსკლუზიურ, დახვეწილ და ელეგანტურ კოლექციებს.

www.roomdesign.ge
















გრინლენდი

# გრინლენდი - ჰარმონია შენს სივრცეში

გრინლენდი დაარსდა 2016 წელს. დღემდე კომპანია წარმატები მხარს უჭერს ადამიანებს და ორგანიზაციებს შეიქმნან ჰარმონიული გარემო მცენარეებითა და მათი დიზაინით.

ჩვენ ვახარებთ ხალხს, რადგან ვეხმარებით მათი იდეიდან სასურველი შედეგის მი- ღებაში, სერვისის სრული ასორტიმენტით, მცენარეებისა და აქსესუარების ფართო არჩევანით:

- ლანდშაპტის დიზაინი;
- ინტერიერის და ექტერიერის მცე- ნარეები;
- რულონური გაზონი;
- სარწყავი სისტემის პროექტირება და მონტაჟი;
- მცენარეთა მოვლის სამსახური;
- ვერტიკალური გამწვანება(მწვანე კედელი);
- დეკორატიული ქოთნები;
  საბაღე აქსესუარები;
- საყვავილე მიწა,მულჩი;
- შხამ-ქიმიკატები;
- მცენარეების გაქირავება.

ჩვენი მომხმარებლებისთვის ყოველთვის სასურველი შედეგი დგება, რადგან ყველაფერს ვაკეთებთ სიყვარულით.

**მაღაზიის მისამართი:**

მიხეილ თამარაშვილის 10 (ინტერიერის მცენარეები)

**ბაღის მისამართი:**

დავით აღმაშენებლის ხეივანი 229 (ექსტერიერის მცენარეები)

WWW.GREENLAND.COM.GE











KUPPERSBERG გერმანული კომპანია M&G Hausgeräte GmbH-ის ოფიციალური ბრენდია, რომელიც 2000 წლის დასაწყისიდან ქმნის დიზაინერულ სამზარეულოს ჩასაშენებელ ტექნიკას. კომპანიის წარმატებას წარმოების დიდი გამოცდილება და საუკეთესო სპეციალისტების ჩართულობა განაპირობებს. დაარსებიდან 5 წლის თავზე, კომპანიის განვითარებასა და პროდუქციის გაუმჯობესებისკენ მუდმივმა სწრაფვამ განაპირობა ბრენდის ევროპული საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებლების ტოპ ათეულში ადგილის დამკვიდრება. დღეს KUPPERSBERG-ის სავაჭრო ნიშანი ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და გაყიდვადია.

საქართველოში KUPPERSBERG-ის პირველი მაღაზია 2012 წელს გაიხსნა და თავი დაიმკვიდრა როგორც ხარისხიანმა და ყველასაგან გამოურჩეულმა ბრენდმა. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N14-ში მდებარე ბრენდული შოურუმი მომხმარებელს თანამედროვე და კლასიკური სტილის პრემიალურ სამზარეულოს ჩასაშენებელ პროდუქციას სთავაზობს. პროდუქციის მთავარი თავისებურება უნიკალური და ყველასგან გამორჩეული დიზაინია. კომპანიის ფილოსოფიის თანახმად, წარმოებისას აქცენტი კეთდება არა ფასზე, არამედ ფუნქციონალსა და დიზაინზე. KUPPERSBERG პირველი გერმანული კომპანიაა, რომელმაც ტექნიკის კლასიკურ იტალიურ სტილში გამოშვება დაიწყო.

KUPPERSBERG-ის პროდუქცია შემუშავებულია გერმანიაში და წარმოებულია მსოფლიოს უმსხვილეს ქარხნებში, მაღალი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად.

250-ზე მეტი სხვადასხვა ფუნქციონალის, დიზაინის, საფასო სეგმენტისა და უნიკალურობის მქონე საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოდელი შექმნილია სიმყუდროვისა და მოხერხებულობისთვის.

# KUPPERSBERG

KUPPERSBERG-ის პროდუქციის წარმოებისას გამოიყენება გამძლე და ეკოლოგიურად სუფთა მასალები. მოდელების ერგონომიული კონსტრუქცია განპირობებულია აწყობის მაღალი სიზუსტით, საუკეთესო სპეციალისტების კვალიფიციურობისა და წამყვანი იტალიელი დიზაინერების ჩართულობით. წარმოების პროცესის სრულმა კონტროლმა, გერმანულმა პედანტურობამ და საგულდაგულო ყურადღებამ განაპირობა კომპანიის სლოგანი - „ხარისხი დეტალებში“. ეტალონური პროდუქტის შექმნა არის KUPPERSBERG-ის წარმატების მთავარი საიდუმლო.

KUPPERSBERG-ის ბრენდის სამზარეულოს ჩასაშენებელი ტექნიკის ასორტიმენტი დღეს ყველაზე ფართოდაა წარმოდგენილი ბაზარზე. იგი თავის თავში აერთიანებს გამწოვებს, ღუმელებს, როგორც გაზის, ასევე ელექტრო ქურებს, მაცივრებს, მიკროტალღურ ღუმელებს, ფართლეულის და ჭურჭლის სარეცხ მანქანებს, სამზარეულოს აქსესუარებს. მომხმარებლებს საშუალება აქვთ ასეულობით მოდელიდან აარჩიონ მათთვის სასურველი სხვადასხვა კონფიგურაციისა და დიზაინის, ასევე ნებისმიერი ფერის ექსკლუზიური სამზარეულოს ტექნიკა.

*KUPPERSBERG-ის მაღაზიებს შეგიძლიათ ეწვიოთ თბილისში შემდეგ მისამართებზე:*
*აღმაშენებლის ხეივანი 14;*
*სავაჭრო ცენტრი მეგალაინი, მაღაზია 28*

https://kuppersberg.ge/
032 203 33 13
info@kuppersberg.ge







# ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ




## ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲯᲔᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს უნივერსიტეტის
“არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინის”
ფაკულტეტის სტუდენტი


## ᲩᲔᲛ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მე ვარ ალექსი ჯეირანაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის “არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინის” ფაკულტეტის მე-3 კურსის წარჩინებული სტუდენტი და სტიპენდიანტი.
ადრეული ასაკიდან დაინტერესებული ვარ არქიტექტურითა და მისი როლით საზოგადოებაში.
მიმაჩნია, რომ არქიტექტურა ხელოვნებაა, რომელიც ყოველდღიურობას უფრო მიმზიდველს, პრაქტიკულსა და კომფორტულს ხდის.
უნივერსიტეტის პარალელურად ვსწავლობ IT აკადემია STEP_ში “გრაფიკა და დიზაინის” პროგრამაზე. აქ მიღებულ ცოდნას აქტიურად ვიყენებ ჩემს თითოეულ პროექტში, ვინაიდან 2D და 3D დიზაინის წესები ძალიან კარგად ერგება არქიტექტურულ დიზაინსაც.
გარდა ამისა, ჰობის სახით მიტაცებს ფოტოგრაფიაც. უმეტეს წილად სურათებს ბუნებასა და გარემოს ვუღებ. ბუნების ულამაზესი ფორმები არაერთხელ გამხდარა ჩემი ინსპირაციის წყარო და წლების განმავლობაში დაგროვებული პრაქტიკა მეხმარება ციფრულ თუ რეალურ სამყაროში ემოციურად და ესთეტიკურად საუკეთესო კადრები შევარჩიო.









*ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲙᲔ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲨᲘ, II ᲙᲣᲠᲡᲘ*







*ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲘᲗ, III ᲙᲣᲠᲡᲘ*

## ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ

ბაკალავრის ხარისხის მონიჭების შემდეგ, კომპეტენციის ამაღლების მიზნით, ვგეგმავ სწავლა მაგისტრატურაზე გავაგრძელო. ვიცი, ჯერ კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი სანამ არქიტექტორისთვის საჭირო ხედვასა და ყველა უნარ-ჩვევას ავითვისებ, მაგრამ ეს არ მაშინებს და პირიქით, უფრო შემართებით ვხვდები თითოეულ დაბრკოლებას. სწორედ ამიტომ, ვაპირებ პირველივე შესაძლებლობისთანავე მონაწილეობა მივიღო სხვადასხვა არქიტექტურულ კონკურსსა და შეჯიბრში, რათა თეორიული ცოდნა პრაქტიკითა და გამოცდილებით გავიმყარო.
ჩემი ოცნებაა შევქმნა ისეთი ნამუშევარი, რომლის შესახებაც არქიტექტურის ისტორიის წიგნებში დაწერენ და რომლითაც წლების შემდეგ ჩემი შვილები და შვილიშვილები იამაყებენ.
დიდი იმედი მაქვს, რომ წარმატებას მივაღწევ საკუთარი მიზნებისა და ოცნებების ასრულებაში.





*ᲙᲝᲢᲔᲯᲘ ᲢᲐᲑᲐᲬᲧᲣᲠᲘᲡ ᲢᲑᲐᲖᲔ, III ᲙᲣᲠᲡᲘ*

სოციალური მედიის
სანახავად დაასკანირეთ
QR კოდი


## ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

AlexJeiranashvili@gmail.com

+995 505 05 11 51

# სარჩევი | Content


| | | |
|---|---|---|
| დაჯილდოების ცერემონია | 31 | Award Ceremony |
| ნომინაციები: არქიტექტურული პროექტი | 40 | Nominations: Architectural project |
| ნომინაცია: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი | 44 | Nomination: Single-family house |
| ნომინაცია: ქალაქგეგმარებითი პროექტი | 48 | Nomination: City planning project |
| ნომინაცია: რესტავრაცია-რეკონსტრუქცია | 52 | Nomination: Reconstruction / Restoration |
| ნომინაცია: საცხოვრებელი ინტერიერი | 54 | Nomination: Residential interior |
| ნომინაცია: საზოგადოებრივი ინტერიერი | 58 | Nomination: Public interior |
| ნომინაცია: საზოგადოებრივი შენობა | 62 | Nomination: Public construction |
| ნომინაცია: სტუდენტური პროექტი | 66 | Nomination: The best student project |
| ნომინაცია: ავეჯის დიზაინი (რეალიზებული) | 69 | Nomination: Furniture Design (Realized) |
| საზოგადოებრივი აზრი | 72 | Public Opinion |
| შატო „მეფის ქალაქი„ | 76 | |
| სახლი კოჯორში | 84 | House in Kojori |
| დიზაინერის შემოქმედებითი პრინციპები | 90 | Creative principles of the designer |
| ბელვედერი | 94 | Belvedere |
| დელიკატური დილემები | 98 | DELICATE DILEMMAS |


www.archias.ge www.archiaward.com






ორგანიზატორები
ORGANIZERS

AAG

STYLE MAGAZINE

გენ. სპონსორი
GENERAL SPONSOR

CAPAROL




სპონსორები SPONSORS

FORUM BY NEW LIGHT

NEW LIGHT

orion Leuchten mit Stil

ზოდი

ROOM DESIGN

106,9 FM FORTUNA

home is.

გრინლენდი

Alex Jeiranashvili





## დაჯილდოების ცერემონია



„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ და ჟურნალი „STYLE“-ს ორგანიზატორობით, თბილისში, 2023 წლის 11ოქტომბერს 17:00 საათზე, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიას“ საპრეზენტაციო დარბაზში არქიტექტურის XI საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა მე - 17 საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსის „არქიტექტურული პრემია 2023“-ის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და უცხოელი არქიტექტორები „არქიტექტურული პრემია 2023“ - ში მონაწილეობის მისაღებად:

- საკონკურსო ნამუშევრების ატვირთვა დაიწყო 2023 წ. 3 ივლისიდან.
- ნამუშევრების ატვირთვა მიმდინარეობდა – 2023 წლის 11 სექტემბრამდე
- საერთშორისო ჟიურიმ იმუშავა 2023 წლის 28 სექტემბრამდე

არქიტექტურული პრემია 2023-ის გენერალური სპონსორი

კომპანია კაპაროლი

კონკურსის სპონსორი კომპანიები:

„ახალი ნათება“, „ფორუმი“ „ზოდი“, გალერეა რუმ დიზაინი“, „ორიონი“, „გრინლენდი“



კონკურსის მედია მხარდამჭერები:

ინტერნეტ ჟურნალი HOME IS.

რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლიუსი“

პროექტის ფოტო უზრუნველყოფას ახორციელებდა ახალგაზრდა არქიტექტორი ალექსი ჯეირანაშვილი

არქიტექტურული კონკურსი ჟურნალი „სტილის“ ორგანიზებით პირველად 2006 წელს ჩატარდა. მას შემდეგ ტრადიციულად, ის ყოველ წელს ტარდება არქიტექტურისა და ინტერიერის დიაზინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალთათვის



















- ჟურნალი „სტილის“ და „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ ორგანიზატორობით.

კონკურსი ქალაქმშენებლობის, შენობების, საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი სივრცის ინტერიერის დიზაინს, სტუდენტურ და არქიტექტურულ პროექტებს მოიცავს. საერთაშორისო კონკურსი ტარდება არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალთათვის. საერთაშორისო კონკურსის მიზანია საუკეთესო პროექტების წარმოჩენა და იმ არქიტექტორებისა თუ დიზაინერების დაფიქსირება, რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ არქიტექტურის განვითარების საქმეში.

საერთაშორისო კონკურსში - არქიტექტურული პრემია - მკაფიოდ აისახება არქიტექტურაში მომხდარი ყველა უახლესი აქტუალური მოვლენა, შედეგი საზოგადოების ჯეროვან ინტერესს იწვევს.

საერთაშორისო კონკურსში - არქიტექტურული პრემია - 2006 წლიდან დღემდე მრავალმა არქიტექტორმა, დიზაინერმა, თუ სტუდენტმა წარმოუდგინა პროფესიონალებს და საზოგადოებას საკუთარი ინოვაციური პროექტი თუ ხედვა.

2006 წლიდან დღემდე საერთაშორისო კონკურსში შემოსული იყო 4000-მდე არქიტექტურული ნამუშევარი. ამ პერიოდში მრავალი მონაწილესთვის კონკურსში წარმატების მიღწევა, რეალურად, პირველი ნაბიჯი აღმოჩნდა შემოქმედებითი აღმავლობის და წარმატებულად თვითრეალიზაციის გზაზე.

საერთაშორისო კონკურსმა საქართველოშიც და საერთაშორისო სარბიელზეც, არქიტექტურისა და სამშენებლო სფეროსთან ასოცირებული კომპანიების საკმაო ინტერესი და აქტიური მხარდაჭერა გამოიწვია. ჩვენი კონკურსის ისტორიის მანძილზე 90-ზე მეტმა კომპანიამ დაგვიჭირა მხარი. ეს ყოველივე კი ინვესტორსა და არქიტექტორს შორის სრულყოფილ, წარმატებულ ალიანსს განაპირობებს.







# AWARD CEREMONY

Association of Architects of Georgia and STYLE Magazine organized
XI International Architectural Festival and XVII International Architectural Competition – Architectural Award 2023
This year, the Georgian Association of Architects turned 12 years old
International competition "Architectural Award" - 17 years
Magazine STYLE - 23 years old

**PROJECT GENERAL SPONSOR COMPANY**
CAPAROL

**PROJECT SPONSOR COMPANIES:**
New Light, FORUM, ZODI, Room Design Gallery, Greenland

**MEDIA SUPPORTERS OF THE COMPETITION:**
Radio "Fortuna", Radio "Fortuna+", Home is.

**PHOTO BY:**
Young architect Alex Jeiranashvili

17th International Architectural Award of Tbilisi is a project, aiming at promotion of best architectural projects and identification of architects and designers making special contribution to development of architecture.

**THE EVENT ORGANIZED UNDER THE UMBRELLA OF THE 11ND INTERNATIONAL ARCHITECTURAL FESTIVAL: October 11 2023**

Award ceremony of architectural and design projects winning the 17th International Competition "Architectural Award 2023"

Architectural Award 2023 covered public and residential space, construction and interior design;

The international competition was open for professionals working in the spheres of architecture and design;

Those wishing to participate in the competition could submit the entries featuring realized


















საერთაშორისო კონკურსზე განიხილება ნამუშევრები

**შემდეგი ნომინაციების მიხედვით:**

1. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (რეალიზებული)
2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან კომპლექსი (რეალიზებული)
3. საცხოვრებელი ინტერიერი (რეალიზებული)
4. საზოგადოებრივი ნაგებობა (რეალიზებული)
5. საზოგადოებრივი ინტერიერი (რეალიზებული)
6. რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (რეალიზებული)
7. ლანდშაფტური არქიტექტურა (რეალიზებული)
8. სტუდენტური პროექტი
9. არქიტექტურული პროექტი
10. ქალაქგეგმარებითი პროექტი
11. ავეჯის დიზაინი (რეალიზებული)

**ნამუშევრები ფასდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:**

ფორმა;
ფუნქცია;
ინოვაცია;
კონცეპტუალურობა;
რეალობასთან სინქრონი (ადაპტაცია).

- საერთაშორისო კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულ არქიტექტორებს ენიჭებათ „არქიტექტურული პრემია 2023".

**არქიტექტურული პრემიას წარმოადგენს:**

- პრემიის სიმბოლო - მცირე ფორმის სკულპტურა
- ლაურეატის დიპლომი;
- ალტერნატიული ჟიურის პრემია;











constructions and designs as well as unimplemented projects and ideas.

The international competition aimed at promotion of the best projects and identification of architects and designers contributing to development of architecture.

Authors of nomination-winning projects were awarded “Architectural Award 2023”.

Nominations of the competition were identified by the jury (professional) and competition organizers.

**ARCHITECTURAL AWARD 2023 COVERED THE FOLLOWING NOMINATIONS:**

Single-family house (realized projects)
Apartment block or residential complex (realized projects)
Residential interior (realized projects)
Public construction (realized projects)
Public interior (realized projects)
Restoration / reconstruction (realized projects)
Landscape architecture (realized projects)
Student projects
Architectural projects
City planning projects
Furniture design (realized projects)

**COMPETITION WINNERS RECEIVED THE FOLLOWING AWARDS:**

Competition symbol – miniature sculpture
Laureate diploma;
Alternative jury prize;
Prizes established by project supporters or sponsors

The international competition was managed by the organizing committee consisting of competition founders and organizers and working on the basis of preliminarily defined conditions. This year, the organizing committee included both project organizers and laureates of Architectural Awards.

Competition entries were submitted by Georgian as well as foreign architects and designers. A total of 140 participants were registered in Architectural Award 2023. The number of competition entries reached 180.






















- პროექტის მხარდამჭერის ან სპონსორის პრემია.

საერთაშორისო კონკურსის ჟიურის შემადგენლობა მტკიცდება საერთაშორისო კონკურსის „არქიტექტურული პრემია 2023" ორგანიზატორის - საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის მიერ.

„არქიტექტურული პრემია 2023"-ის საერთაშორისო ჟიურიმ, საკონკურსო ნამუშევრებიდან აირჩია ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ საუკეთესო პროექტები. (პროფესიული ჟიურის წევრებს ურიგდებათ (ეგზავნებათ) პერსონალური კოდები და კონკურსის ვებ გვერდზე: WWW.ARCHIAWARD.COM – 10 ბალიანი სისტემით აფასებენ ობიექტებს.

სპეციალურვებ გვერდზე: WWW. ARCHIAWARD.COM - ზე წარმოდგენილი ობიექტები ყველასთვის იყო ხელმისაწვდომი და საზოგადოების თითოეულ წევრს, თავად, შეეძლო, ასევე 10 ბალიანი სისტემით შეეფასებინა ისინი. რაც კონკურსის საერთაშორისო ჟიურის შედეგების პარალელურად ავტომატურად დაჯამდა. ყოველი საკონკურსო პროექტი, საბოლოო შეფასებამდე, ავტორის (ავტორთა ჯგუფის) მითითების გარეშე, პერსონალური ნომრით იყო წარმოდგენილი.

ნომინაციებში წარმოდგენილი იყო 180 არქიტექტურული და დიზაინერული პროექტი.

საბოლოოდ თითოეულ ნომინაციაში შეირჩა სამი ან ოთხი საუკეთესო ობიექტი, რომელთაგან განსაკუთრებულად აღინიშნა ერთ-ერთი, მათგან ყველაზე მაღალი ქულის მფლობელი და მხოლოდ ამის შემდგომ გახდა ცნობილი კონკურსში მონაწილე ავტორთა ვინაობა.

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციამ დააწესა ასოციაციის საპატიო ჯილდო და წელს უკვე მეთერთმეტედ ქართული კულტურის განვითარების და პოპულარიზაციაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საპატიო ჯილდოები გადაეცათ საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორებს, ზურაბ ჯალაღანიას და ალექსანდრე ჩხეიძეს.

Architectural Award 2023 was awarded to architects and designers for the best projects in the spheres of urban planning, architecture and interior design.

Composition of the jury was approved by one of the organizers of Architectural Award 2023 – Association of Architects of Georgia - organizing committee.

Based on evaluation of competition entries, the jury of Architectural Award 2023 identified the best projects realized during the recent years (the entries were publicly accessible via the dedicated website). In each nomination, the judges anonymously singled out three or four best projects from among which the laureates were selected. Only after the selection process was finished, authors of competition entries became known.

Activities of the jury helped measure the level of modern architectural development and single out new trends.

Competition award ceremony took place at Radisson Blu Hotel Tbilisi at 17:00 on October 11 2023

Before the launch of award ceremony itself, the attending public – competition participants, jury members, representatives of construction and architectural companies and journalists – had an opportunity to take a look at the exposition of best competition works of Georgian and foreign architects.

Award-passing ceremony, animated by actor Nino Arazashvili started at about 5 p.m. with the opening speech of Chairman of Georgian Architect Association Nino Laghidze and Founder of Georgian Architect Association Dimitri Mosulishvili - Organizers of Festival.

Overview of the International Competition Architectural Award from 2006 to present was presented during the award ceremony.

The Georgian Architect Association established the Honorary Award of the Association and for the eleventh time this year for a great personal contribution to the development and popularization of Georgian culture, for fruitful creative and public activities.This award was given to the multiple winners of international competitions and the "Architectural Award" architects Zurab Jalaghania and Alexandr Chkheidze.

